



ATIPfund
GEORGIA

საქართველო, თბილისი 0177

თამარაშვილის ქ. № 15ა

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 395 350

15a Tamarashvili str.

Tbilisi 0177, Georgia

Tel./Fax: (+995 32) 2 395 350

www.atipfund.gov.ge

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking



KA030826931744218

№ 07-81/ო

25 / აპრილი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების (თავშესაფარი/თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი) შინაგანაწესების დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2018 წლის 25 იანვრის N07-24/ო ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის № 146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების (თავშესაფარი/თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი) შინაგანაწესების დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2018 წლის 25 იანვრის N07-24/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1.1. ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულის – თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესის (დანართი N1):

ა) მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ბენეფიციარს, თუ მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით, უფლება აქვს რამდენიმე დღით, მაგრამ არაუმეტეს თვის განმავლობაში 4 კალენდარული დღისა, დროებით დატოვოს თავშესაფარი (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად). ასევე, უფლება აქვს დამოკიდებული პირები, დღეთა რაოდენობის შეუზღუდავად, გაიყვანოს და დატოვოს მესამე პირთან. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულია აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით მიმართოს თავშესაფრის უფროსს და მიუთითოს იმ ადგილის საკონტაქტო მონაცემები, სადაც მიდის/მიემგზავრება ან ტოვებს დამოკიდებულ პირ(ებ)ს.“;

ბ) მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „41“ პუნქტი:

“4¹. ბენეფიციარს, თუ მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება 15 კალენდარულ დღეზე ნაკლები ვადით, უფლება აქვს არაუმეტეს 2 კალენდარული დღისა დროებით დატოვოს თავშესაფარი (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად). ასევე, უფლება აქვს დამოკიდებული პირები, დღეთა რაოდენობის შეუზღუდავად, გაიყვანოს და დატოვოს მესამე პირთან. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულია აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით მიმართოს თავშესაფრის უფროსს და მიუთითოს იმ ადგილის საკონტაქტო მონაცემები, სადაც მიდის/მიემგზავრება ან ტოვებს დამოკიდებულ პირ(ებ)ს.“;

გ) მე-16 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ბენეფიციარის თავშესაფრიდან დროებით გასვლის/თავშესაფრის დროებით დატოვების შემთხვევაში, თუ „ბენეფიციართა დროებით გასვლა–დაბრუნების ჟურნალში“ ან წერილობით განცხადებაში მითითებული დაბრუნების სავარაუდო დროიდან 2 საათის მანძილზე ბენეფიციარი თავშესაფარში არ დაბრუნდა და ვერ ხერხდება მასთან დაკავშირება, თავშესაფრის ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ფაქტის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს და ფონდის ხელმძღვანელობას.“;

დ) მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ბენეფიციარის მიერ არასაპატიო მიზეზით შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-4 ან მე-4¹ პუნქტებით დადგენილი, თავშესაფრის დროებით დატოვების შესაბამისი ვადის დარღვევა;“;

ე) მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 18. თავშესაფრის ბენეფიციარის უფლებები

თავშესაფრის ბენეფიციარს უფლება აქვს:

ა) ფლობდეს ინფორმაციას თავისი უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე, თავშესაფრის მომსახურების თაობაზე;

ბ) ისარგებლოს თავშესაფარში არსებული შესაბამისი მომსახურებებით;

გ) უარი განაცხადოს მომსახურებაზე ნებისმიერ დროს, რასთან დაკავშირებითაც უნდა აცნობოს თავშესაფრის ადმინისტრაციას;

დ) გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;

ე) დაცული იყოს ყველა ფორმის ძალადობისაგან;

ვ) თავშესაფარში შეიტანოს მხოლოდ პირველადი საჭიროების ნივთები და ტანსაცმელი (თავშესაფრის ბენეფიციარის შემთხვევაში);

ზ) მიიღოს საკვები (ოთხჯერადი კვება) წინასწარ შემუშავებული მენიუს შესაბამისად და ისარგებლოს პირადი ჰიგიენის საშუალებებით, ამასთან, მოითხოვს ჩვილი ბავშვისთვის (2 წლამდე ასაკის) სპეციალური კვება;

თ) დამოკიდებული არასრულწლოვანი შვილ(ებ)ისათვის (რომლებიც სარგებლობენ თავშესაფრით) მოითხოვოს საფენები (პამპერსი), სველი ხელსახოცები, სხვა ჰიგიენური საშუალებები;

ი) საკუთარი სახსრებით თავად მოამზადოს საჭმელი. მის მიერ საჭმლის მომზადების შემთხვევაში, აუცილებელია მის მიერვე იქნეს მოწესრიგებული (დასუფთავება–დალაგება) სამზარეულო;

კ) დღის განმავლობაში თავისუფლად გადაადგილდეს თავშესაფრის გარეთ, რის შესახებაც უნდა მიუთითოს თავშესაფრიდან ბენეფიციართა დროებით გასვლა–დაბრუნების ჟურნალში;

ლ) რამდენიმე დღით, მაგრამ არაუმეტეს შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-4 ან მე-4¹ პუნქტებით დადგენილი შესაბამისი ვადისა, დროებით დატოვოს თავშესაფარი, რასთან დაკავშირებითაც წერილობით უნდა მიმართოს თავშესაფრის უფროსს ;

მ) იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულია ან/და პირადი მიზეზების გამო საჭიროებს თავშესაფრის დროებით დატოვებას (სამუშაო დღეებში 9 საათიდან 18 საათამდე), მასზე დამოკიდებული არასრულწლოვანი პირ(ებ)ის/ბავშვ(ებ)ის მოვლა–პატრონობა მიიღოს თავშესაფრის ძიძას;

ნ) მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა რეკრეაციულ ღონისძიებებში;

ო) თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივროს თავშესაფრის უფროსისა და თავშესაფრის სხვა თანამშრომლის, ფონდის დირექტორის, ფონდის სხვა თანამშრომლის არამართლზომიერი ქმედებები

წინამდებარე შინაგანაწესით ან/და კანონმდებლობით დადგენილი წესით;

პ) გამოხატოს თავისი შეხედულება ან/და უკმაყოფილება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით სიტყვიერი ან/და წერილობითი ან/და ანონიმური ფორმით;

ჟ) მოითხოვოს თავშესაფარში დაცული, მის შესახებ არსებული პირადი და სხვა ტიპის ინფორმაციის გამჟღავნებისაგან დაცვა, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, ასევე, მისი წერილობითი და ელექტრონული კორესპონდენციების, სატელეფონო საუბრებისა და პირადი შეხვედრების კონფიდენციალურობა, ასევე მომსახურების მიწოდების დროს მის შესახებ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

რ) ისარგებლოს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებებით.;

გ) მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) თავშესაფრის რამდენიმე დღით, მაგრამ არაუმეტეს შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-4 ან მე-4¹ პუნქტებით დადგენილი შესაბამისი ვადისა, დატოვების საჭიროებისას წერილობით მიმართოს თავშესაფრის უფროსს;“;

ზ) მე-19 მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) დაწესებულების ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა;“;

1.2. ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულის - ბათუმის ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესის (დანართი N2):

ა) მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ბენეფიციარს, თუ მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით, უფლება აქვს რამდენიმე დღით, მაგრამ არაუმეტეს თვის განმავლობაში 4 კალენდარული დღისა, დროებით დატოვოს თავშესაფარი (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად). ასევე, უფლება აქვს დამოკიდებული პირები, დღეთა რაოდენობის შეუზღუდავად, გაიყვანოს და დატოვოს მესამე პირთან. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულია აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით მიმართოს თავშესაფრის უფროსს და მიუთითოს იმ ადგილის საკონტაქტო მონაცემები, სადაც მიდის/მიემგზავრება ან ტოვებს დამოკიდებულ პირ(ებ)ს.“;

ბ) მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4¹ პუნქტი:

„4¹. ბენეფიციარს, თუ მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება 15 კალენდარულ დღეზე ნაკლები ვადით, უფლება აქვს არაუმეტეს 2 კალენდარული დღისა დროებით დატოვოს თავშესაფარი (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად). ასევე, უფლება აქვს დამოკიდებული პირები, დღეთა რაოდენობის შეუზღუდავად, გაიყვანოს და დატოვოს მესამე პირთან. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულია აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით მიმართოს თავშესაფრის უფროსს და მიუთითოს იმ ადგილის საკონტაქტო მონაცემები, სადაც მიდის/მიემგზავრება ან ტოვებს დამოკიდებულ პირ(ებ)ს.“;

გ) მე-16 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ბენეფიციარის თავშესაფრიდან დროებით გასვლის/თავშესაფრის დროებით დატოვების შემთხვევაში, თუ „ბენეფიციართა დროებით გასვლა–დაბრუნების ჟურნალში“ ან წერილობით განცხადებაში მითითებული დაბრუნების სავარაუდო დროიდან 2 საათის მანძილზე ბენეფიციარი თავშესაფარში არ დაბრუნდა და ვერ ხერხდება მასთან დაკავშირება, თავშესაფრის ადმინისტრაციამ დაუყონებლივ უნდა შეატყობინოს ფაქტის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს და ფონდის ხელმძღვანელობას.“;

დ) მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ბენეფიციარის მიერ არასაპატიო მიზეზით შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-4 ან მე-4¹ პუნქტებით დადგენილი, თავშესაფრის დროებით დატოვების შესაბამისი ვადის დარღვევა;“;

ე) მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) რამდენიმე დღით, მაგრამ არაუმეტეს შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-4 ან მე-4¹ პუნქტებით დადგენილი შესაბამისი ვადისა, დროებით დატოვოს თავშესაფარი, რასთან დაკავშირებითაც წერილობით უნდა მიმართოს თავშესაფრის უფროსს;“;

ვ) მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) თავშესაფრის რამდენიმე დღით, მაგრამ არაუმეტეს შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-4 ან მე-4¹ პუნქტებით დადგენილი შესაბამისი ვადისა, დატოვების საჭიროებისას წერილობით მიმართოს თავშესაფრის უფროსს;“;

„ბ) მე-19 მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) დაწესებულების ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა;“;

1.3. ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულის - გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი) შინაგანაწესის (დანართი N3):

ა) მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს, თუ მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით, უფლება აქვს რამდენიმე დღით, მაგრამ არაუმეტეს თვის განმავლობაში 4 კალენდარული დღისა, დროებით დატოვოს თავშესაფარი (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად). ასევე, უფლება აქვს დამოკიდებული პირები, დღეთა რაოდენობის შეუზღუდავად, გაიყვანოს და დატოვოს მესამე პირთან. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულია აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით მიმართოს თავშესაფრის უფროსს და მიუთითოს იმ ადგილის საკონტაქტო მონაცემები, სადაც მიდის/მიემგზავრება ან ტოვებს დამოკიდებულ პირ(ებ)ს.“;

ბ) მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „3¹“ პუნქტი:

„3¹. ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს, თუ მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება 15 კალენდარულ დღეზე ნაკლები ვადით, უფლება აქვს არაუმეტეს 2 კალენდარული დღისა დროებით დატოვოს თავშესაფარი (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად). ასევე, უფლება აქვს დამოკიდებული პირები, დღეთა რაოდენობის შეუზღუდავად, გაიყვანოს და დატოვოს მესამე პირთან. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულია აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით მიმართოს თავშესაფრის უფროსს და მიუთითოს იმ ადგილის საკონტაქტო მონაცემები, სადაც მიდის/მიემგზავრება ან ტოვებს დამოკიდებულ პირ(ებ)ს.“;

გ) მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ბენეფიციარის თავშესაფრიდან დროებით გასვლის/თავშესაფრის დროებით დატოვების შემთხვევაში, თუ „ბენეფიციართა დროებით გასვლა–დაბრუნების ჟურნალში“ ან წერილობით განცხადებაში მითითებული დაბრუნების სავარაუდო დროიდან 2 საათის მანძილზე ბენეფიციარი თავშესაფარში არ დაბრუნდა და ვერ ხერხდება მასთან დაკავშირება, თავშესაფრის ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ფაქტის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს და ფონდის ხელმძღვანელობას.“;

დ) მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ბენეფიციარის მიერ არასაკმატო მიზეზით შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-3 ან მე-3¹ პუნქტებით დადგენილი, თავშესაფრის დროებით დატოვების შესაბამისი ვადის დარღვევა;“;

ე) მე-18 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი :

„6. კრიზისული ცენტრი კრიზისული ცენტრის ბენეფიციარს, სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი სავარაუდო ძალადობის/დანაშაულის) სავარაუდო მსხვერპლს უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურ–სოციალური რეაბილიტაციით/დახმარებით.“;

ვ) 21-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის მიზნით, ფონდსა და ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს შორის ფორმდება ხელშეკრულება, არაუმეტეს 12 (თორმეტი) სამუშაო დღის ვადით, გარდა სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი სავარაუდო ძალადობის/დანაშაულის) სავარაუდო მსხვერპლისა.“;

ზ) 21-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „1¹“ პუნქტი:

„1¹. სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი სავარაუდო ძალადობის/დანაშაულის) სავარაუდო მსხვერპლთან, კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის მიზნით, ხელშეკრულება ფორმდება 3 თვემდე ვადით.“;

თ) 22- ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ¹“ ქვეპუნქტი:

„გ¹) სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი სავარაუდო ძალადობის/დანაშაულის) სავარაუდო მსხვერპლის შეფასება ხელშეკრულების დადებიდან 5 სამუშაო დღეში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დადებულია 12 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით;“;

ი) 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღეში დაწესებულების თანამშრომლის/მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შემთხვევის მართვის (რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის) გეგმის შემუშავება, ხოლო სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი სავარაუდო ძალადობის/დანაშაულის) სავარაუდო მსხვერპლის შემთხვევის მართვის (რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის) გეგმის შემუშავება ბენეფიციარის შეფასებიდან 2 სამუშაო დღეში, თუ მასთან დადებულია ხელშეკრულება 12 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით.“;

კ) 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ხელშეკრულების გაგრძელების (წინამდებარე შინაგანაწესს მე-21 მუხლის შესაბამისად) ან შემთხვევის დახურვის მიზნით, შემთხვევის მართვის (რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის) გეგმის გადისინჯვა/შეფასება ხდება ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 2 სამუშაო დღისა, ხოლო სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი სავარაუდო ძალადობის/დანაშაულის) სავარაუდო მსხვერპლის შემთხვევის მართვის (რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის) გეგმის გადისინჯვა/შეფასება, ხელშეკრულების გაგრძელების ან შემთხვევის დახურვის მიზნით, ხდება ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 3 სამუშაო დღისა (თუ მასთან ხელშეკრულება დადებულია 12 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით) დაწესებულების შესაბამისი თანამშრომლის/მულტიდისციპლინური გუნდის მიერ.“;

ლ) 22-ე მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ¹“ ქვეპუნქტი:

„გ¹) შეფასების ფორმა (სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი სავარაუდო ძალადობის/დანაშაულის) სავარაუდო მსხვერპლის, თუ მასთან ხელშეკრულება დადებულია 12 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით);“;

მ) 23-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე¹“ ქვეპუნქტი:

„ე¹) იდენტიფიცირების სპეციალური კითხვარის საფუძველზე პირის ძალადობის სავარაუდო მსხვერპლად განსაზღვრის და მასთან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, კითხვარის შევსებისას მის მიერ უფლებამოსილი პირისთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდების/მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვის ფაქტის გამოვლენა;“;

ნ) 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) რამდენიმე დღით, მაგრამ არაუმეტეს შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-3 ან მე-3¹ პუნქტებით დადგენილი შესაბამისი ვადისა, დროებით დატოვოს თავშესაფარი, რასთან დაკავშირებითაც წერილობით უნდა მიმართოს თავმესაფრის უფროსს;“;

ო) 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) თავმესაფრის რამდენიმე დღით, მაგრამ არაუმეტეს შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-3 ან მე-3¹ პუნქტებით დადგენილი შესაბამისი ვადისა, დატოვების საჭიროებისას წერილობით მიმართოს თავმესაფრის უფროსს;“;

პ) 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) დაწესებულების ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა;“;

1.4. ბრძანების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულის – ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავმესაფარი და კრიზისული ცენტრი) შინაგანაწესის (დანართი N4):

ა) მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს, თუ მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით, უფლება აქვს რამდენიმე დღით, მაგრამ არაუმეტეს თვის განმავლობაში 4 კალენდარული დღისა, დროებით დატოვოს თავშესაფარი (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად). ასევე, უფლება აქვს დამოკიდებული პირები, დღეთა რაოდენობის შეუზღუდავად, გაიყვანოს და დატოვოს მესამე პირთან. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულია აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით მიმართოს თავმესაფრის უფროსს და

მიუთითოს იმ ადგილის საკონტაქტო მონაცემები, სადაც მიდის/მიემგზავრება ან ტოვებს დამოკიდებულ პირ(ებ)ს.“;

ბ) მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „3¹“ პუნქტი:

„3¹. ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს, თუ მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება 15 კალენდარულ დღეზე ნაკლები ვადით, უფლება აქვს არაუმეტეს 2 კალენდარული დღისა დროებით დატოვოს თავშესაფარი (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად). ასევე, უფლება აქვს დამოკიდებული პირები, დღეთა რაოდენობის შეუზღუდავად, გაიყვანოს და დატოვოს მესამე პირთან. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულია აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით მიმართოს თავშესაფრის უფროსს და მიუთითოს იმ ადგილის საკონტაქტო მონაცემები, სადაც მიდის/მიემგზავრება ან ტოვებს დამოკიდებულ პირ(ებ)ს.“;

გ) მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ბენეფიციარის თავშესაფრიდან დროებით გასვლის/თავშესაფრის დროებით დატოვების შემთხვევაში, თუ „ბენეფიციართა დროებით გასვლა–დაბრუნების ჟურნალში“ ან წერილობით განცხადებაში მითითებული დაბრუნების სავარაუდო დროიდან 2 საათის მანძილზე ბენეფიციარი თავშესაფარში არ დაბრუნდა და ვერ ხერხდება მასთან დაკავშირება, თავშესაფრის ადმინისტრაციამ დაუყონებლივ უნდა შეატყობინოს ფაქტის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს და ფონდის ხელმძღვანელობას.“;

დ) მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ბენეფიციარის მიერ არასაკმატო მიზეზით შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-3 ან მე-3¹ პუნქტებით დადგენილი, თავშესაფრის დროებით დატოვების შესაბამისი ვადის დარღვევა;“;

ე) მე-18 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. კრიზისული ცენტრი კრიზისული ცენტრის ბენეფიციარს, სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი სავარაუდო ძალადობის/დანაშაულის) სავარაუდო მსხვერპლს უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურ–სოციალური რეაბილიტაციით/დახმარებით.“;

ვ) 21-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის მიზნით, ფონდსა და ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს შორის ფორმდება ხელშეკრულება, არაუმეტეს 12 (თორმეტი) სამუშაო დღის ვადით, გარდა სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი სავარაუდო ძალადობის/დანაშაულის) სავარაუდო მსხვერპლისა.“

ზ) 21-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „1¹“ პუნქტი:

„1¹. სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი სავარაუდო ძალადობის/დანაშაულის) სავარაუდო მსხვერპლთან, კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის მიზნით, ხელშეკრულება ფორმდება 3 თვემდე ვადით.“;

თ) 22-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ¹“ ქვეპუნქტი:

„გ¹) სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი სავარაუდო ძალადობის/დანაშაულის) სავარაუდო მსხვერპლის შეფასება ხელშეკრულების დადებიდან 5 სამუშაო დღეში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დადებულია 12 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით;“;

ი) 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღეში დაწესებულების თანამშრომლის/მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შემთხვევის მართვის (რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის) გეგმის შემუშავება, ხოლო სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი სავარაუდო ძალადობის/დანაშაულის) სავარაუდო მსხვერპლის შემთხვევის მართვის (რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის) გეგმის შემუშავება ბენეფიციარის შეფასებიდან 2 სამუშაო დღეში, თუ მასთან დადებულია ხელშეკრულება 12 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით.“;

კ) 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ხელშეკრულების გაგრძელების (წინამდებარე შინაგანაწესის მე-21 მუხლის შესაბამისად) ან შემთხვევის დახურვის მიზნით, შემთხვევის მართვის (რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის) გეგმის გადისინჯვა/შეფასება ხდება ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 2 სამუშაო დღისა, ხოლო სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი სავარაუდო

ძალადობის/დანაშაულის) სავარაუდო მსხვერპლის შემთხვევის მართვის (რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის) გეგმის გადისინჯვა/შეფასება, ხელშეკრულების გაგრძელების ან შემთხვევის დახურვის მიზნით, ხდება ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 3 სამუშაო დღისა (თუ მასთან ხელშეკრულება დადებულია 12 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით) დაწესებულების შესაბამისი თანამშრომლის/მულტიდისციპლინური გუნდის მიერ.“;

ლ) 22-ე მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ¹“ ქვეპუნქტი:

„გ¹) შეფასების ფორმა (სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი სავარაუდო ძალადობის/დანაშაულის) სავარაუდო მსხვერპლის თუ მასთან ხელშეკრულება დადებულია 12 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით);“;

მ) 23-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე¹“ ქვეპუნქტი:

„ე¹) იდენტიფიცირების სპეციალური კითხვარის საფუძველზე პირის ძალადობის სავარაუდო მსხვერპლად განსაზღვრის და მასთან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, კითხვარის შევსებისას მის მიერ უფლებამოსილი პირისთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდების/მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვის ფაქტის გამოვლენა;“;

ნ) 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) რამდენიმე დღით, მაგრამ არაუმეტეს შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-3 ან მე-3¹ პუნქტებით დადგენილი შესაბამისი ვადისა, დროებით დატოვოს თავშესაფარი, რასთან დაკავშირებითაც წერილობით უნდა მიმართოს თავშესაფრის უფროსს;“;

ო) 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) თავშესაფრის რამდენიმე დღით, მაგრამ არაუმეტეს შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-3 ან მე-3¹ პუნქტებით დადგენილი შესაბამისი ვადისა, დატოვების საჭიროებისას წერილობით მიმართოს თავშესაფრის უფროსს;“;

პ) 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) დაწესებულების ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა;“;

1.5. ბრძანების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულის - სიღნაღის ძალადობის/მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესის (დანართი N5):

ა) მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს უფლება აქვს რამდენიმე დღით, თუ მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით, მაგრამ არაუმეტეს თვის განმავლობაში 4 კალენდარული დღისა, დროებით დატოვოს თავშესაფარი (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად). ასევე, უფლება აქვს დამოკიდებული პირები, დღეთა რაოდენობის შეუზღუდავად, გაიყვანოს და დატოვოს მესამე პირთან. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულია აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით მიმართოს თავშესაფრის უფროსს და მიუთითოს იმ ადგილის საკონტაქტო მონაცემები, სადაც მიდის/მიემგზავრება ან ტოვებს დამოკიდებულ პირ(ებ)ს.“;

ბ) მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „3¹“ პუნქტი:

„3¹. ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს, თუ მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება 15 კალენდარულ დღეზე ნაკლები ვადით, უფლება აქვს არაუმეტეს 2 კალენდარული დღისა დროებით დატოვოს თავშესაფარი (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად). ასევე, უფლება აქვს დამოკიდებული პირები, დღეთა რაოდენობის შეუზღუდავად, გაიყვანოს და დატოვოს მესამე პირთან. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულია აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით მიმართოს თავშესაფრის უფროსს და მიუთითოს იმ ადგილის საკონტაქტო მონაცემები, სადაც მიდის/მიემგზავრება ან ტოვებს დამოკიდებულ პირ(ებ)ს.“;

გ) მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ბენეფიციარის თავშესაფრიდან დროებით გასვლის/თავშესაფრის დროებით დატოვების შემთხვევაში, თუ „ბენეფიციართა დროებით გასვლა–დაბრუნების ჟურნალში“ ან წერილობით განცხადებაში მითითებული დაბრუნების სავარაუდო დროიდან 2 საათის მანძილზე ბენეფიციარი თავშესაფარში არ დაბრუნდა და ვერ ხერხდება მასთან დაკავშირება, თავშესაფრის ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ფაქტის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს და ფონდის ხელმძღვანელობას.“;

დ) მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ბენეფიციარის მიერ არასაკატიო მიზეზით შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-3 ან მე-3¹ პუნქტებით დადგენილი, თავშესაფრის დროებით დატოვების შესაბამისი ვადის დარღვევა;“;

ე) მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) რამდენიმე დღით, მაგრამ არაუმეტეს შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-3 ან მე-3¹ პუნქტებით დადგენილი შესაბამისი ვადისა, დროებით დატოვოს თავშესაფარი, რასთან დაკავშირებითაც წერილობით უნდა მიმართოს თავშესაფრის უფროსს;“;

ვ) მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) თავშესაფრის რამდენიმე დღით, მაგრამ არაუმეტეს შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-3 ან მე-3¹ პუნქტებით დადგენილი შესაბამისი ვადისა, დატოვების საჭიროებისას წერილობით მიმართოს თავშესაფრის უფროსს;“;

ზ) მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) დაწესებულების ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა;“.

2. დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულების უფროსებს თანამშრომლებისათვის წინამდებარე ბრძანების გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დირექტორი



მერი მაღლაფერიძე